პრობლემური სესხების გამომწვევი ეკონომიკური მიზეზები საქართველოში

გიორგი არევაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,

ტექმოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე საბანკო საქმეში მაგისტრიე

აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროექტის ხელმძღვანელი: მაია მელიქიძე, ასისტენტ - პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებელად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი არევაძე

05.13.2021

აბსტარაქტი

ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ასევე საქართველოში პრობლემური სესხები ერთერთი აქტუალური თემაა. პრობლემური სესხების რაოდენობა დღითიდღე იზრდება რომლის მთავარი მიზეზი როგორც ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ისე ფინანსური მდგომარეობაა. კვლევა მიზნად ისახავა არსებული პრობლემების გაანალიზებას, გამომწვევი მიზეზებისა და მათი გადაჭრის გზების ძიებას.

კვლევაში გამოყენებული იქნა, როგორც თვისობრივი ისე რაოდენობრივი კვლევა. ინტერვიუ ჩატარდა შესაბამის სფეროში დასაქმებულ ადამიანებთან, მნიშვნელოვანი იყო მათი აზრი პრობლემის მოგვარების საკითხებში. ასევე გამოყენებული იქნა უკვე არსებული ლიტერატურული წყაროები.

გამოკითხულთა უმეტესობა პრობლემური სესხებისა და ჭარბ ვალიანობის მთავარ მამომწვევ მიზეზად უმუშევრობას, სიღარიბის დონეს და მაღალი საპროცენტო განაკვეთს ასახელებს. გამოყენებული ლიტერატურის, მეცნიერეების და მკვლევარების მოსაზრებების მიხედვით ქვეყნის მთავრობას და ეროვნულ ბანკს მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ პრობლემური სესხების შესამცირებლად, ამ პრობლემის გადასაჭრელად მნიშვნელოვანია ჩატარდეს შესაბამისი ღონისძიებებეი სახელმწიფოს მხრიდან.

ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს საბანკო-საფინანსო სისტემაში, ფინანსური პრობლემეების იდენტიფიცირება და ეროვნული ბანკის მიერ მკაცრი რეგულაციების დაწესება და კონტროლის გამკაცრება, რაც ხელს შეუწყობს ისევე როგორც საბანკო სისტემას ასევე მოსახლეობის უფლებებეის დაცვას, რაც პირდაპირპროპორციულია არსებული პრობლემის მოგვარებასთან.

Abstract

As all over the world, problem loans are one of the topical issues in Georgia. The number of problem loans is growing day by day, the main reason of which is the economic, social, political and financial condition of the country. The aim of the research was to analyze the existing problems, to find the causes and the ways to solve them.

Both qualitative and quantitative research were used in the study. Interviews were conducted with people working in the relevant field, their opinion on problem solving was important. Existing literary sources were also used.

Most of the respondents name unemployment, poverty level and high interest rates as the main causes of problem loans and over-indebtedness. According to the literature, scientists and researchers, the government and the National Bank have an important role to play in reducing non-performing loans, and it is important for the state to take appropriate measures to address this problem.

It is also important to identify financial problems in the Georgian banking and financial system and to impose strict regulations and controls on the National Bank, which will help protect both the banking system and the rights of the population, which is directly proportional to solving the existing problem.